

გაზეთის ღირსი:

Table with 4 columns: თვე, მან. კ., თვე, მან. კ. showing subscription rates for various months.

ცალკე ნომერი—ერთი შაურტი

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა... გაზეთის დასაბავარებლად... ფასი განცხადებისა...

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ივერიის

პირველ სექტემბერდგან წლის დამლევაძღვ კაზ. „ივერია“ ჰლირს 4 მან. 75 კაზ.

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა (კუკიაში, ვორცხვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით: ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. საღამოობით, ვენეროული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

გ. მ. ჩიქვაძე, 9—10 საათ. სნეულუბანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. ა. ა. რუდეკა. 10 1/2—11 1/2 საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვევილს აუტრის.

ფ. ა. ბახანასანი. — დილის 11 1/2—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. შ. კარაბეგიაძე. 1—1 1/2 საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ბ. გ. გუგუა. 1 1/2—2 1/2 ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის. ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ.

სადამოაობით: გ. მ. მახვილაძე. — 6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ. ნერვებისა და კანის სნეულუბ.

ბ. ა. ნავასარდიანი—6 1/2—7 საათ. ტ. ა. რუდეკა—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაურტი; დარიგების უფ-

ად; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დოქტორი სამკურნალო დაქტორი მედიცინის ნავასარდიანი. Первая частная лечебница Д-ра Навасардиана.

Тифлиς, противъ памяти. Воронцову. (7)

მისის იმპერატორების უმაღლესობის დიდისმთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ჩამოტრიალვისა ტფილისში.

17 სექტემბერი

რკინის გზის სადგურზე, როდესაც ყველანი მიესალმნენ, მისი უმაღლესობა, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე მიუბრუნდა იქ მყოფთ და ჰბრძანა:

„დიდად მოხარული ვარ, რომ ამ მოხუცების დროს მომიხდა ნახვა ამ ჩემთვის, როგორც უწყით, საყვარელ ქვეყნისა, გისურვებთ ყველას წარმატებასა და ბედნიერებას, მხოლოდ მოხელეთ—სასარგებლო სამსახურს სამშობლოს და ამა ქვეყნის საკეთილოდ, რომელთაც სრული უფლება აქვთ ამისი მოლოდინი ჰქონდეთ. გამდლობთ გულითადად დახვედრისათვის.“

დიდებში ჯარის დათვლიერების დროს, როდესაც ჯარს ჩამოუარა მისმა უმაღლესობამ, უბრძანა:

„ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება და მიბრძანა მე გამომგვით მისი უაგუსტოესი სალამი.“

შორის უფრო დიდ-მნიშვნელოვანი იყო წლიური კრება ბრიტანის სა-მეცნიერო აკადემიისა წრეგანდელს კრებას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო და თვით კრება მეტად საყურადღებო იყო. ყველაზედ უფრო საყურადღებოა მოხსენება საფიზიკო-სამათემატიკო განყოფილებისა და სოციალურ მეცნიერების განყოფილებისა. ამ განყოფილების მოხსენებათა შორის ყველაზედ დიდი ყურადღება დაიმსახურა პროფესორის ბონარის მოხსენებამ შესახებ ინდუსტრიისა, სხვა-და-სხვა საგნებისა და ნივთების იაფ ფასად გაკეთებისა, რომ ყველას შეეძლოს იმათი შექმნა, და სამოქალაქო მეურნეობის განვითარებისა.

თვით მოხსენება მე არ წამიკითხავს,—ჯერ გასაყიდი არ არის, გაზეთებში დაბეჭდილი ანგარიშები-კი ძლიერ მოკლეა. ხოლო ამ პროფესორის აზრს დიდი ყურადღება მიაქცია ყველამ და ამიტომ ვეცდები მოგახსენოთ შინაარსი ამ ახალის მოძღვრებისა.

მკითხველს, უტყველია, მოესხენება, რა აუარებელი სიმდიდრე აქვთ შექმნილი ასტროსა, ვანდერბილტს და მრეწველობის სხვა მეფეებს. ყვე-

გაისმა ხანგრძლივი „ურა“-ს ხმა. დილის 11 1/2 საათზედ დასრულდა ჯარის დათვლიერება. მისი უმაღლესობა მიხეილ ნიკოლოზის ძე მიუბრუნდა კავკასიის მთავარ მართველს და უბრძანა:

„თქვენო ბრწყინვალეებავ! მაქვს პატივი მაღლობა განგიცხადოთ! დღეს ჯარის ნახვით ქვეშაირიტი სიამოვნება მაგრძნობინეთ!“

შემდეგ, როგორც გუშინდელ ჩვენს ანგარიშიდანაც უწყით, საუბრე იყო გამართული. შუა საუბრის დროს მისმა უმაღლესობამ შემდეგი სიტყვა ჰბრძანა:

„ძველი მთავარ-სარდალი ბედნიერია, რომ მოხუცების დროს შესძლო მოსვლა და კვლავნახვა თავისი შეუღარებელის კავკასიის ჯარისა.“

„არასოდეს არ დავივიწყებ იმ თვრამეტს წელიწადს, რომლის განმავლობაშიაც მქონდა ბედნიერება და კავკასიის ჯარს სათავეში ვუდექი. ამ ჯარსა და მხოლოდ ამ ჯარს, ვიმეორებ, უნდა ვუმაღლიდე და არა ჩემ პირად ღირსებათ იმ წარჩინების ნიშნების მიღებისა გამო, რომლითაც განსვენებულმა ხელმწიფე იმპერატორმა აღექვანდრე მეორემ კეთილ-ინება და შემავო ჩემი მკერდი.“

„ღმერთსა ვთხოვ, რომ ახალგაზდა კავკასიელი ამიერიდანაც ჰბადენდნ მათა ხელმძღვანელთა მაგალითს—ძველ ამხანაგებისას!“

„სრულის გულითა და სულით ვსვამ კავკასიის ჩინებულ ჯარის სადღეგრძელოს! ურა!“

ამის პასუხად მთავარ-მართველმა გენერალ-ადიუტანტმა თავ. გოლიცინმა სიტყვა:

„თითოეულს მგზავრს წელიწადში ორთა შუა რიცხვით გადახადნა 5 მანეთი. ეხლა-კი, როდესაც ამავე რკინის გზებით წელიწადში 980 მილიონი მგზავრი დაჰყავთ, საქიროა თითოეულმა მგზავრმა ორთა შუა რიცხვით წელიწადში სულ 50 კაპ. გადახადოს, რომ რკინის გზებს 490 მილიონი დარჩეთ.—ავილოთ ეხლა ფოსტა და გაზეთები. ორმოცის წლის წინად წერილის გაგზავნა ინგლისში ღირდა 35 კაპეიკამდე და ამიტომ ღირდა კაცი ძლიერ იშვიათად ჰგზავნიდა წერილს, ხოლო გაზეთებს მართა მდიდარი კაცები იწერდნენ. ხოლო ეხლა წერილის გაგზავნა ინგლისში ჰღირს 3 კაპეიკად, ღია წერილი 1 1/2 კაპეიკად და ამდენადვე ჰღირს გაზეთიც. მერე რა? ორმოცის წლის წინად ფოსტის შენახვა მთავრობისათვის საზარალი იყო, ეხლა-კი წელიწადში სულ ცოტა 112 მილიონ მანათს იგებს!.. როდესაც გაზეთი გერბის გარდასახადისა გამო ჰღირდა 15 კაპეიკად, ძლიერ იშვიათი რედაქცია იგებდა ცოტა რამეს, მაგრამ გერბის გარდასახადი მოსპეს, გაზეთის ფასმა დაიწია 3 კაპეიკამდე და 1 1/2 კაპეიკამდეც, გაზეთის კითხვა დაიწყო მუშაბაც, ზოგი გაზეთი

„ნება მიბოძეთ, თქვენო იმპერატორებითა უმაღლესობავ, არა თუ ჯარის მარტო იმ ნაწილისა, რომელიც ტფილისშია ბანაკად შეკრებილი, არამედ კავკასიის სამხედრო ოლქის ყველა ჯარისაგან მოგესალმოთ და თქვენის უმაღლესობის ძვირფასი სადღეგრძელო დაველიო!“

ყველა ისინი, რომელთაც-კი ბედნიერება ჰქონიათ ოდესმე თქვენის უაგუსტოესის უფროსობის ქვეშე სამსახურისა, ამას არასოდეს არ დავივიწყებენ. იმათ-კი, რომელთაც ეს ბედნიერება არა ჰქონიათ, თავისი უფროსს ამხანაგთაგან შეიტყუეს, რა ბევრი რამ გაკეთებულა თქვენ მიერ კავკასიის ჯარისათვის და რა გრძობიერად და გულითადად ეკიდება აქამდე თქვენი უმაღლესობა კავკასიისა და კავკასიის ჯარს!

„სიცოცხლობდეს მისი იმპერატორებითა უმაღლესობა გენერალ-ფელდ-მარშალი დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე! ურა!“

შემდეგ მისმა უმაღლესობამ დიდმა მთავარმა კავკასიის მთავარ მართველის სადღეგრძელოს ბრძანება ინება. დასასრულ დაღეულ იქმნა კვლავ მისის უმაღლესობის სადღეგრძელო, რომელსაც იქ მყოფნი აღტაცებულისა და ხანგრძლივის „ურა“-ს ძახლით მიეგებნენ.

როგორც გუშინ დავაბოლოვეთ ჩვენი წერილი, მისი უმაღლესობა, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე საღამოს 10 საათსა და 25 წამს ჰბრძანდებოდა ტფილისის გუბერნიის თავდაზნაურობის წინამძღოლ თავ. კ. ი. მუხრან-ბატონთან, სადაც ჩის მიერთმევა ინება. შემდეგ, დაჰყო რა წინამძღოლთან 20 წამს, მისი უმაღ-

ლესობა უაგუსტოესის შეილებითურთ სასახლეში წაბრძანდა.

საღამოს ქალაქი გაჩირადნებული იყო. განსაკუთრებით კარგს სურათს წარმოადგენდა გოლოვინის პროსპექტი. მთელი ქუჩა პატარა ფერად-ფერადის ფარნებით იყო განათებული.

მთელი გოლოვინის პროსპექტი ხალხით იყო საესე. განსაკუთრებით ხალხს მოეყარა თავი მთავარ-მართველის სასახლის წინ. საზოგადოდ ამ საღამოს ქალაქს არა ჩვეულებრივი მოძრაობა და სიცოცხლე ეტყობოდა.

18 სექტემბერი

თავისი ტფილისში ყოფნის მეორე დღეს მისი უმაღლესობა მიხეილ ნიკოლოზის ძე დილის 10 საათსა და 45 წუთზედ კავკასიის მთავარ-მართველისა, გუბერნატორის თ. ა. ბიკოვისა, ტფილისის კომენდანტის გენერალ-მაიორის ი. ნ. რიეტერისა და პოლიციმესტერის თანხლებით დაათვალიერა ტფილისის პირველი დედათა გიმნაზია, სადაც, ამ გიმნაზიის მოსწავლეთა გარდა, შეკრებილნი იყვნენ მე-VI და მე-VII კლასის მოსწავლენი მეორე დედათა გიმნაზიისა. მისი უმაღლესობა ფეხით მიბრძანდა გიმნაზიაში. აქ დაუხვდა გიმნაზიის მთავრობა, რომელსაც წინ უძღოდა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი კ. პ. იანოვსკი.

გიმნაზიის ეკლესიაში გარდახდილ იქმნა მცირე პარაკლისი, რომლის შემდეგაც მისმა უმაღლესობამ დაათვალიერა როგორც ეკლესია გიმნაზიისა, ისე სხვა ახალად აგებული შენობები და საანბანო განყოფილებები და 400 ათასობით იყიდება და ამიტომ ეხლა კარგს გაზეთს აქ უფრო მეტი შემოსავალი აქვს, ვიდრე ოქროს მადანს.

ასეა კაცობრიობის ყოველგვარ მოქმედების ასპარეზზედაც. ვინც იათადა ჰყიდის საქონელს, ვისაც იათად დაჰყავს მგზავრი, ყველასაგან ცოტას იგებს და გასაოცრად მდიდრდება.

ამგვარად შეგვიძლიან დავასკვნათ მეტად საყურადღებო საპოლიტიკო-საეკონომიო კანონი, რომელიც რაკი ყველასაგან შეგნებული იქმნება, სრულიად სხვა მიმართულებას მისცემს პოლიტიკასა, მწერლობას და ვაჭრობას. ეს კანონი შემდეგია:

რაც უფრო მეტი მოსოსწავლესა გამოეფიქრება კანონი, მით უფრო მდიდრად სასწავლოა, მით უფრო ნაკლებად ესაჭიროება უცხო ქვეყნებში ბავშრის მოსწავლეს და მით უფრო ნაკლებად უნდა მასდინოს ამ პოლიტიკას, რომედაც მაქვეუფალა ქვეყნების დაჰმრავლესაგან. მე კარგად ვიცი, რომ ეს მოძღვრება წინამდებელია ეხლანდელ ეკონომისტების მოძღვრებისა. „ბაზარი, ბაზარი უცხო ქვეყნებშია“, ჰყვირიან ისინი. „ბაზარისა და ამ ბაზარებში უპირატესობისათვის ბრძო-

ფელეტონი

წერილები ინგლისიდან

(საკუთარის კორესპონდენტისა)

წლიური კრება ბრიტანის ასოციაციისა.—ახალი აზრი საეკონომიო მეცნიერებისა.—ახალი რომანიზმი.—ფელეტონი ობსერვატორების მტერი ყოფილა.—ცოცხალი ანდრე, თუ არა?

დაიჯერებთ, თუ არა?—სიცხე, საშინელი სიცხე აწუხებს ეხლა ლონდონელებს. მინდრები გაღიწვა, ქეზი და მინარეები შრება, ლონდონის აღმოსავლეთის ნაწილი იტანჯება უწყლობით; ხალხი და ცხენები ქუჩაში ვარდებიან მზის დაკვირსაგან. ამბობენ, რომ 7 სექტემბერს ისეთი სიცხე იყო, როგორც ამ 50 წლის განმავლობაში არა ყოფილაო.

რადა თქმა უნდა, რომ ამ სიცხის წყალობით ვაჭრობა ცოტა არ იყოს შეფერხდა. ვისაც-კი ცოტადენი იყოლი აქვს, ყველა ლონდონიდგან ზღვის ნაპირისაკენ მირბის და ყველანი იხვებივით წყალში ქუშპალავობენ... ინგლისელებისათვის წყალი ხომ საკუთარი სტიქიონია. სხვა-და-სხვა საზოგადო ამბების



ბა. აქ შვიდის წლის მოსწავლემ სოკოლოვსკისამ ყვავილების თაი- გული მიაჩნია მისს უმაღლესობას. შემდეგ მისი უმაღლესობის, დიდის მთავარის თხოვნით ყველა მოსწავ- ლენი გამოყვანილ იქნენ ეზოში. აქ დიდი მთავარი მოწყლედ ესაუბრა მოსწავლეებსა და მასწავ- ლებლებს. აქვე მოსწავლეებმა ივა- ლობეს საერთოდ საერო საგა- ლობელი. ბოლოს მისმა უმაღ- ლესობამ ჰპოძანა: „კანგად აგბ- ლობეთ, გამდლობთ“-ო, რის პასუხადც ვაისმა თითქმის ათა- სის მოსწავლის მიერ ერთ-ხმად „ურა!“-ს დახილი. რა დაინახა სი- მრავლე მოსწავლეებისა (1000 მოს- წავლეზედ მეტი), მისმა უმაღლესო- ბამ შენიშნა: „ძალიან ძნელი უნდა იყოს ამდენის ბავშვების სწავლება“. სიმხატვრო განყოფილებაში მისს უმა- ლესობას სასწავლებლის მე IX კლა- სის მოსწავლემ ნინო ქიტიაშვილმა მიაჩნია აბრეშუმის გადასაფარებელი სკამ-საქანელასათვის. დასარულ თა- ვისი სიამოვნება განუცხადა-რა გიმ- ნაზიის მთავრობასა და სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, აგრეთვე, განა- თავისუფლა რა მოსწავლენი ერთის დღით სწავლისაგან, მისი უმაღლე- სობა 11 საათსა და 30 წამს წაბრ- ძანდა ეტლით სამხედრო ტაძარში. წასვლის დროს მისმა უმაღლესობამ გიმნაზიის მთავრობას უბრძანა: „გამდ- ლობთ ყველას გულმოდგინეობისა- თვის, რომლის აშკარა ნაყოფსაცა ვხედავო“. მისს უმაღლესობას ხალ- ხი, რომლითაც მთლად სავსე იყო ფოსტის ქუჩა, აღტაცებულის „ურა“-ს დახილით მიეგება.

სამხედრო ტაძარში გარდახდილ იქნა პარაკლისი, რომლის შემდეგაც მისმა უმაღლესობამ დაწვრილებით დაათვალიერა ტაძარი და განაცხადა: „არ მოველოდი, თუ ასე კარგად

ლაა საქირო ყველა ქვეყნებთან.“ და ყველანი დაარწმუნეს ამ მოძღვ- რების სიმაართლეში. და ყველანი იბრძვიან იმისათვის, რომ ზაზარი მოიპოვონ სპარსეთსა, ჩინეთსა, ინ- დოეთსა და აფრიკაში. მთელი ეს საუკუნე წარმოადგენს ბრძოლას ბა- ზრის მოპოებისათვის. რას მიახ- წიეს მერე?

ინგლისს ვაჰქონდა სხვა ქვეყნებ- ში 1894 წელს 2.580 მილიონ მანათის საქონელი. საფრანგეთს— 1893 წელს 1.400 მილიონისა.

ამის გულისათვის ორივე სახელ- მწიფო პოლიტიკითა, ჯარითა და მრეწველობით ყოველგვარ ძალ-ლო- ნესა ჰხმარობენ. ეხლა წარმოიდგი- ნეთ ისიც, რომ იგივე ძალ-ლონე მიმართულია თავისის ერის კეთილ- დღეობისაკენ და წარმოიდგინეთ ისიც, რომ თითოეულ ინგლით სელის და ფრანგის კეთილდღეობამ იქამდე მიახწია, რომ დღეში 10 კა- პეისს მეტსა ჰხარჯავს თავისის მო- თხოვნილების დასაკმაყოფილებლად. რამდენად აიწიეს მაშინ ორისავე ერ- ის მრეწველობა.

საფრანგეთის მრეწველობა იმატებს ყოველ წლივ 1.368 მილიონით, ინგლისის—1.400 მილიონით. მერე რა არის დღეში 10 კაპეისის მომა- ტება? ეხლა ხალხი ძლიერ ცუდად იკვებება და ძლიერ ცუდად იცვამს ტანთ. რათა ცოტათი რიგინად იცხოვროს ადამიანი, 30 და 40 კაპეიკით მეტი უნდა დაჰხარჯოს

იყო მოწყობილი ტაძარიო“. შემდეგ ანთებულ იქმნა ელექტრონის ხომ- ლი, რომლითაც საღამოობით ანთე- ბენ ტაძარს. 12 საათზედ მისი უმაღ- ლესობა სასახლეში წაბრძანდა, სა- დაც საუბრე იყო გამართული.

საუზისა და დასვენების შემდეგ მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე ნაშუადღევის 3 1/2 საათზედ წაბ- რძანდა იმპერატორის ნიკოლოზ I-ის სახელობაზედ დაარსებულ ამიერ- კავკასიის დედათა ინსტიტუტში; თან ახლდნენ კავკასიის მთავარ-მართებ- ლი გენერალ-ადიუტანტი თავ. ვ. ს. გოლიცინი და მისის უმაღლესობის ადიუტანტი გენერალ მთიური ბარა- ნოვი. აქ მისს უმაღლესობას დაუხე- დნენ ინსტიტუტის უფროსი ო. მ. ბუტირლინისა, კლასების ინსპექტო- რი პ. ე. მელლერი, კავკასიის მთა- ვარ-მართებლის თანაშემწე, გენე- რალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე, ტფი- ლისის გუბერნატორი თ. ა. ბიკოვი, პოლიკმისტერი მასტიკვი და ინ- სტიტუტის საბჭოს წევრნი და მასწა- ვლებელნი.

მისი უმაღლესობა დაელაპარაკა ინსტიტუტის მოსწავლეებს. შემდეგ დაათვალიერა ინსტიტუტის მთელი შენობა, საწოლი ოთახები, სამკურ- ნალო და სასადილო ოთახი, სადაც ამ დროს სადილობდნენ მოსწავლე- ბი. შემდეგ მისმა უმაღლესობამ მო- იწადინა დათვალიერება ინსტიტუ- ტის ეკლესიისა, სადაც დიდს მთა- ვარს წმ. ჯვრით ხელში დაუხედა ინსტიტუტის მღვდელი კონკოშვილი. აქ მოსწავლეთა გუნდმა იგალობა ლოცვა „აცხოვნე, უფალო“ და მი- სის უმაღლესობის სურვილით „მრა- ვალე-ამიერი“. ინსტიტუტის შენო- ბის დათვალიერების შემდეგ მისმა უმაღლესობამ ინახულა ინსტიტუტის უფროსი ქნი ო. მ. ბუტირლინისა,

დღეში. მაშინ, აბა იფიქრეთ მკით- ხველო, საფრანგეთის მრეწველობამ უნდა იმატოს 5.240 მილიონითა და ინგლისისამ—5,600 მილიონით ე. ი. ერთი ორად და ერთი სამად მეტი, ვიდრე ეხლა გააქვთ საქონე- ნელი უცხოეთის ბაზრებში.

ასეთია ახალი მოძღვრება, რომე- ლსაც თან და თან დაადგება საბო- ლიტოკო ეკონომია. ვისურვოთ, რომ ამ მოძღვრებამ ფეხი მოიკიდოს ცხო- ვრებაში და გაძლიერდეს. დაე შეი- გნოს ხალხმა ეს ქეშმარიტება და მა- შინ შური, მტრობა და შუღლი ხალ- ხთა შორის ადგილს დაუთმობს სა- ყოველთაო ბედნიერებისა და განა- თლებისათვის საერთო მოქმედებას. ომი და სამხედრო ბეგარა დაუთმო- ბენ ადგილს ბედნიერებასა, მეცნიე- რებას და შრომას, საკეთილდღეოდ მოყვასთა და მეზობელთა...

საგეოგრაფიო განყოფილებაში დი- დი ყურადღება მიიქცია ჩვენის დრო- ის ნამდვილმა რობინზომ კრუზომ. ეს გახლავთ ფრანგი დე-რუემონი, რომელმაც, როგორც თითონ აზ- ბობს, ოცდაათი წელიწადი გაატარა ჩრდილო დასავლეთ ავსტრალიის ველურ ხალხთა შორის. სწორედ საოცარია რუემონის თავ-გადასავა- ლის ამბავი, რომელიც არაფრით არ განირჩევა დე-ფოეს შესანიშნავის რომანისაგან. აქაც გვინ დაეღუბა და დე-რუემონი ძლივს გადაარჩა თავი- სის ძაღლით, აქაც დე რუემონმა გა-

განაცხადა თვისი სიამოვნება და გა- რდუხადა მადლობა ინსტიტუ- ტის გამგეთ და წაბრძანდა. ინ- სტიტუტის მოსწავლენი ამ დროს „ურას“ იძახდნენ და იგალობეს „მრავალე-ამიერი“. ინსტიტუტში დიდ- მა მთავარმა 50 წამს დაჰყო.

ინსტიტუტიდან გამოსვლის შემდეგ მისი უმაღლესობა მივიდა იმპერატო- რის ალექსანდრეს თავშესაფარის იქვე გამოწვევრებულ მოსწავლეებთან, ელაპარაკა თავ-შესაფარის გამგეთ და შემდეგ წაბრძანდა წმ. ნინოს სასწავლებელში.

მისს უმაღლესობას დაუხედა წმ. ნინოს დედათა საქველ-მოქმე- დო საზოგადოების თავმჯდომარე კენინა მ. თ. გოლიცინისა, თავმ- ჯდომარის თანაშემწე კენინა მ. ა. შერვაშიძისა, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი კ. პ. იანოვსკი, საბჭოს წევრნი და მასწავლებელნი. მისმა უმაღლესობამ დაათვალიერა სასწავლებლის ეკლესია და შენობა. მოსწავლეთა გუნდმა იგალობა საე- რო საგალობელი. მისი უმაღლესობა ელაპარაკა მასწავლებლებსა და მოს- წავლეებს და შემდეგ წაბრძანდა სასამა- რთლო დაწესებულებათა შენობის დასათვალიერებლად.

აქ მისს იმპერატორებითს უმაღ- ლესობას დაუხედა თავმჯდომარე სამოსამართლო პალატის სენატორი ს. ბ. ვრასკი და პალატის ბრალმდ- ბელი ე. ვ. ვასილიევი, რომელნიც თან ახლდნენ შენობის დათვალიერე- ბის დროს. მისი უმაღლესობა, გამ- მიჯვენელ განყოფილებებს დათვალიე- რების შემდეგ, აბრძანდა სამოსამარ- თლო პალატის სადგომში. ალექსან- დრეს დარბაზში მისს უმაღლესობას დაუხედა სამოსამართლო პალატის მოხელენი და დეპარტამენტების თავ- მჯდომარენი. აქ მისმა უმაღლესობამ დაწვრილებით გასინჯა მეფე რეფორ-

მართა ტივი დაშავებულ გემის ნამ- ტრევეებისაგან, გემიდგან საქირო ნივთები გადმოიტანა და სათეს- ლე ხორბალიცა ჰნახა იქა. ერ- თის სიტყვით, იგივე გადაჰხდა, რაც რობინზონ კრუზოს. მერე ამ კუნძულიდგან წავა ველურებთან, სცხოვრობს იმათთან, ცოლად ირ- თავს ზანგ დედა-კაცს, რომელთანაც მთელი ოცი წელიწადი გაატარა. ბოლოს დე-რუემონი ისე შეუყვარ დათ ველურებს, რომ მეფედ აირ- ჩიეს.

ყოველივე ეს ზღაპარს წააგავს, მაგრამ შესაძლებელი კია, რომ მარ- თლა მომხდარიყოს. მხოლოდ ერთი ამბავია აქ საკვირველი: ამ ფრანგმა ოცდაათი წელიწადი გაატარა განუ- ვითარებელ ველურებ შორის, ამ დროს განმავლობაში ევროპული ერთი სიტყვაც არ გაუგონია, და, მიუხედავად ამისა, არა თუ სამ- შობლო ენა, ინგლისურიც-კი არ დაჰვიწყებია და ამ ენაზე საკმაოდ კარგად ლაპარაკობს. ეს-კი, სწორედ მოგახსენოთ, ძნელად დასაჯერებელი ამბავია. ცოტაჯერ არ მომხდარა გე- მის დაღუპვა და ბევრჯერ მომხდა რა, რომ ინგლისელს კაცს 7, 10 და 13 წელიწადი გაუტარებია ვე- ლურ ხალხში. მეშვიდე წელიწადზე ისე დაჰვიწყებიათ ინგლისური ენა, რომ როცა ინგლისელები შეჰხვედ- რიან, ერთი სიტყვაც აღარ ჰხსომე- ბია. აქ-კი კაცი ოცდაათის წლის განმავლობაში ველურ ხალხში

მატარის, დვთივ განსვენებულის იმე- რატორის ალექსანდრე II ს ქანდაკება, დარბაზები, კანცელარია, კაბინეტები და სხვ. აქედგან მისი უმაღლესობა აბრ- ძანდა ზემო სართულში და დათვა- ლიერა ოლქის სასამართლოს სად- გომში. მიხეილის დარბაზში მისს უმა- ლესობას დაუხედა ოლქის სასა- მართლოს თავმჯდომარე მ. მ. შარი- გინი, მოხელენი, ნაფიცი ვეტილები და მოპრიველები მოსამართლენი.

მისმა უმაღლესობამ განაცხადა თვისი სიამოვნება, გამოწვეული იმი- თო, რომ დათვალიერა სასამართლო დაწესებულებათა სადგომი, მადლო- ბა გარდუხადა ყველა იქ მყოფთ და 5 1/2 საათზე წაბრძანდა სასახლეში.

ამის შემდეგ სადილობამდე მისი იმპერატორებითი უმაღლესობა ქა- ლაქში სადარბაზოდ დაბრძანდებოდა ათვისს ნაცნობებთან.

სალამოზედ ქალაქი გაჩირადნე- ბული იყო ისე, როგორც წინა დღეს.

სალამოს 9 საათზედ მისმა იმპერა- ტორებითი უმაღლესობამ სახელმწი- ფო თეატრის დათვალიერება ინება, რომლის გეგმა დამტკიცებულია მი- სის უმაღლესობის მიერ კავკასიაში „ნამესტნიკად“ ყოფნის დროს. თეატრში მისს უმაღლესობას მი- ეგებნენ თეატრის დირექტორი და აღმინისტრატორი. დაწვრილებით და- თვალიერა რა ამ შემთხვევისათვის საგანგებოდ განათებული თეატრი, მისი უმაღლესობა აქედგან სასახლე- ში წაბრძანდა.

მისი იმპერატორებითი უმაღლე- სობა მიბრძანდებო ბორეოს დღეს, ნაშუადღევის 3 საათზედ.

ახალი ამბავი

გუშინ, 18 სექტემბერს, ტფი- ლისის ოლქის სასამართლოს სისხ-

სცხოვრობს და არა თუ სამშობლო ენა, ინგლისურიც-კი არ ავიწყდება. ამ გარემოებამ ექვი დაჰხადა. აღმოჩნდნენ ისეთნი, და სხვათა შო- რის, სახელოვანი ტელიორი, ავტო- რი „პირვანდელის კულტურისა“— რომელთაც ექვი განაცხადეს დე- რუემონის ამბის სინამდვილეში. რაც უნდა იყოს რუემონის თავ-გადასავალის ამბავი მე- ტად საყურადღებოა; აქ მოიპოვე- ბა მრავალი ახალი ცნობა ველურე- ბის შესახებ და თუ დე-რუემონმა მართლაც გააზვიადა თავისი მოთხ- რობა, ამაში ვერ გავამტყუნებთ, ვითარცა გაუნათლებელს კაცს და ეს არც თუ ისე სასარგებლოა.

ვარსკვლავთ-მრიცხველნი მეტად აღელვებულნი არიან. თურმე, რაც უფრო ძლიერდება ელექტრონის ტე- ხნიკა, დედა-მიწის ზურგიც ისე გაი- ჟინთა ელექტრონის ძალით, რომ ობსერვატორიის იარაღები ისე ვე- ღარ მოქმედობენ, როგორც საქი- როა. ვაშინგტონისა, ბუფალოსი და სხვა ქალაქების ობსერვატორიები უკ- ვე დაზიანდნენ. ჰშიშობენ, არ და- ზიანდეს მთელ დედამიწის ზურგზე საუკეთესო ობსერვატორია გარინი- ჩისა. ძლიერ საყურადღებოა ზოგიერთე- ბის აზრი, ვითომ ამ ელექტრონის ძალას დიდი ზედ-გავლენა აქვს არა თუ მარტო ობსერვატორიების ია- რადებზე, არამედ თვით ადამიანის

ლის სამართლის დროებითი განყოფი- ლების სესსია, რომელმაც შესტყუა წევრების ი. ო. პარჩევსკისა და ვ. თ. ჰადალკოსა და ბრალმდებლის ამხანაგის კ. ტ. დობროვოლსკისა- გან, გორში წავიდა საქმეების განსა- ხილველად. გორში სესსია 3 ოქტო- მბრამდე დაჰყოფს.

როგორც უწყიან მკითხველე- ბმა, ტფილისის საბალოსნო სკოლის გამგემ კრავჩენკომ თანამდებობას თა- ვი დაანება. ეხლა კავკასიის საიმპე- რატორო სამეურნეო საზოგადოება იწვევს ყველას, ვისაც ჰსურს ხსენე- ბულ სასწავლებლის გამგეს თანამდე- ბობა იკისროს.

დღეს 19 სექტემბერს, სალა- მოს 8 საათზედ, კავკასიის საიმპერა- ტორო სამეურნეო საზოგადოებას კრება ექმნება. კრება მოისმენს პრო- ფესორის ვ. ვ. ლოკუჩაივის მოხსე- ნებას კავკასიის ნიადაგის ნაწილების შესახებ.

გუშინ, 18 სექტემბერს, ფრა- ნგთა ამხანაგობამ, რომელსაც აზ- რადა აქვს ცხენის რკინის გზის წარ- მოება იკისროს და რომელსაც, ინ- ენერ ყაზიპეის რჩევით, უკვე მო- ლაპარაკება ჰქონდა ქალაქთან, ქა- ლაქის გამგეობას დამატებითი წინა- დდება წარუდგინა. შინაარსი ამ წინადადებისა ის არის, რომ ამხანა- გობა თხოულობს ცხენის რკინის გზის საერთო შემოსავლის ნახევარს ამ საქმის წარმოების ხარჯის დასაზა- რავად, ხოლო დანარჩენ ნახევრი- დგან ერთს ნახევარს თითონ რხოუ- ლობს ჯილდოდ და მეორე ნახევარს ქალაქს უთმობს. ამ გვარად, ვიდრე ცხენის რკინის გზა ამ ამხანაგობის ხელში იქმნება, ქალაქი მიიღებს წლი- ურად 25% ანუ 1/4 საერთო შე- მოსავლისას. ამას გარდა ამხანაგობა

აგებულებზე და ხასიათზედაც. ნე- ტივი-კი ამ ელექტრონმა მოაშროს ადამიანის ტინს ცრუ-მორწმუნეობა და სინდისის სიცრუვე და სიყალბე.

ერთს წელიწადზე მეტია, რაც ნორვეგიელი თამამი მეცნიერი ანდ- რე ჩრდილოეთის პოლიუსისაკენ გა- ემართა ჰაეროსტატით. მას აქეთ ან- დრე და იმისი ამხანაგები არავის უნა- ხავს. უკანასკნელს წერილში, რომელიც ანდრესაგან მოიტანა მტრედ- მა, სწერია, რომ ანდრე ჩრდილოე- თისაკენ-კი არა, აღმოსავლეთისაკენ წაიღო ქარმა, ციმბირის ნაპირების- კენ. მას აქეთ არავითარი ამბავი არ იმისი ნორვეგიელებმა ექსპედიცია გა- გზავნეს. ნანსენის გემი Frame თა- ვისის უფროს სვერდრუპით ისევ ჩრდილოეთ ოკეანეში წავიდა. მაგ- რამ ანდრეს შესახებ ჯერ არაფერი ამბავია. ამ დღეებში ამერიკიდგან დებეშები მოვიდა, რომლებიც იუწყ- ებიან, ესკიმოსებმა სთქვეს, ჩვენ შორის სცხოვრობენ ციდან ჩამო- სული კაცებიო. ანდრე ხომ არ არის ესაო? ჰუიქრობენ მეცნიერნი და ისევ დაიწყეს ლაპარაკი ახალ ექსპე- დიციაზე.

ანდრე სწორედ ჩვენის დროის ფრანკლინია. იგი, ნანსენი, პირრი და სხვანი ახალის ჯურის გმირნი არიან, გმირნი მეცნიერებისა და კა- ცობრიობისა.

პირდება ქალაქს უსასყიდლოდ და-
უთმოს ელექტრონი, განსაზღვრული
რაოდენობა, ქალაქის ქუჩების გასა-
ნათებლად და თავის სასარგებლოდ
გამოსაყენებლად.

დღეს, 19 სექტემბერს, დილის 10
საათზედ, დიდუბის ქუჩაზედ აკრ-
ებენ ქალაქის მესამე პირველ-დაწ-
ყებითს სასწავლებელს, რომელიც
საქართველოს მეფის ერეკლე მეო-
რეს სახსოვრად არსდება.

1898 წელს 3 ივლისს უმაღ-
ლესთ დამტკიცებულის მინისტრთა
კომიტეტის დადგენილებით ინვენტარს
ვ. ი. ვენდროვსკის და პეტერბურ-
გელ ვაჭარს ნ. ს. ნორმარკს ნება
მიეცა დაარსონ „რუსეთ-კავკასიის
სამთა-მადნო საზოგადოება“. საზოგა-
დოებას აზრად აქვს აღმოჩენა კავ-
კასიაში და წარმოება მთაბადნო-
საზოგადოების ძირის თანხა—
11,250,000 მანეთია, რომელიც
45,000 აქციად არის დანაწილებუ-
ლი. საზოგადოების გამგეობა პეტერ-
ბურგში იქმნება.

რადგანაც წელს ტფილისის
რეალურ სასწავლებელში შესვლის
მსურველთა რიცხვი ძალიან ბევრი იყო
(400-მა შეიტანა თხოვნა), ამას წი-
ნად სასწავლებლის გამგეობამ შუა-
მდგომლობა აღძრა კავკასიის სამო-
სწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე
იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს მო-
სამზადებელი განყოფილება დააარ-
სოს. ეს შუამდგომლობა შეწყნარე-
ბულ იქნა. სასწავლებლის გამგეო-
ბამ უკვე დააარსა პარალელი განყოფი-
ლება და მიიღო ამ განყოფილებაში
6 წ ახალი მოსწავლე. სასწავლებელ-
თან დაარსებულ იქნა ამ სამოსწავ-
ლო წლის დასაწყისიდან საისტო-
რია-საგეოგრაფიო კაბინეტი. სასწავ-
ლებელმა შეიძინა აგრეთვე ბუნდო-
ვანი სურათები.

ტფილისში ჩამოვიდა მიწად მო-
ქმედების სამინისტროს მიერ გამოგზავ-
ნილი მიწად-მოქმედების დეპარტამენ-
ტის მე-5 სამოსწავლო განყოფი-
ლების უფროსი ივ. ივ. მეშჩერსკი.
მეშჩერსკის აზრად აქვს დათვალიე-
როს მიწად-მოქმედების სამინისტროს
სასწავლებლები და სხვა დაწესებუ-
ლებანი.

ტფილისის გუბერნიის სახელ-
მწიფო ქონებათა გამგეს ბეკის თავ-
მჯდომარეობით და კავკასიის სამთო
გამგეობის წარმომადგენელთა მონა-
წილეობით შემდგარმა კომისიამ, რომ-
ელმაც უნდა განიხილოს და გამო-
არკვიოს იმ კაცთა უფლებანი, რომ-
ელთაც ითხოვეს შირაქის მინდორ-
ში ნავთიანი მიწები მოგვეცით ნავ-
თის საწარმოებლად, გარდასწყვიტა
4 ოქტომბრისათვის დაიბარონ ყვე-
ლა ეს კაცები სიღნაღის მაზრაში.
ტენიკოსთა განსაკუთრებულმა კო-
მისიამ აღწერა ეს მიწები და მათი
გვეგმა შეადგინა. სულ 600 კაცამდე
მიწის მთხოველი.

17 სექტემბერს მიწად-მოქმე-
დების სამინისტროს კანცელარიის
უფროსმა ლ. კ. ლებედევმა ინახუ-
ლა მიწად-მოქმედების რწმუნებულის
კანცელარია, დაათვალიერა კანცე-
ლარიის ახალი სადგომი ქაქავაძისა
და გრიბოედოვის კუთხეში, სადაც
გადატანილ იქნა ამ ახლო მომავალ-
ში ტფილისის გუბერნიის სახელმწი-
ფო ქონებათა გამგეობაც.

რუსეთის უსინათლოთა სამხ-
რუნველოს კავკასიის განყოფილებამ
შეიძინა ავლაბარში თავისუფალიად-
გილო, სადაც აზრად აქვს ააგოს
შენობანი თავშესაფარისა, სკოლისა,
სახელოსნოებისა და თვალის სამკუ-
რნალოსათვის. პროექტი ამ შენო-
ბებს დასჭირდება 58 ათასი მანეთი.
განყოფილებამ ხარჯთ-აღრიცხვა უკ-
ვე გაკვანა პეტერბურგში და ამ
დღეებში მოეღის პასუხს.

ქ. ბაქოს შუამდგომლობა იმის
შესახებ, რომ სატენიკო სასწავლე-
ბლის შენობის ასაგებად ქალაქის
თვით-მმართველობას ნება მიეცეს ისა-
რგებლოს სათადარიგო თანხით და
მოახმაროს იქიდან ამ საქმეს 125
ათასი მანეთი, მთავრობას არ შეუ-
წყნარებია.

კავკასიის სამოსწავლო ოლქმა,
გაზ. „ახ. მიმ.“ სიტყვით, შუამდგო-
მლობა აღძრა თურმე უმაღლესს მთა-
ვრობის წინაშე იმის შესახებ, რომ
სოხუმის ოლქში არსებულ მიხეილის
სასწავლებელს ქონებრივად დახმარე-
ბა აღმოეჩინოს.

ქუთაისიდან ატყაზინებენ
გაზ. „კავკას.“, რომ აზრად აქვთ
ქუთაისის გუბერნიის ზოგიერთადგი-
ლებში მოუმატონ პოლიციელთა
შტატს, სახელდობრ, დააარსონ ბო-
ქაულთა თანაშემწეების თანამდებო-
ბანი.

იმავე გაზეთის სიტყვით, ამ
დღეებში ტფილისის გუბერნატორს
დაუმტკიცებია თელავის მაზრის მო-
ხმარებელ საზოგადოების წესდება.

გაზ. „ახ. მიმ.“ სიტყვით,
ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრატ-
ციამ უკვე განიხილა და წარუდგინა
კავკასიის უმაღლესს მთავრობას რი-
ყის მცხოვრებთა შუამდგომლობა იმის
შესახებ, რომ ღონე იქმნას მიღებუ-
ლი იმ ზარალის ასაცდენად, რომე-
ლიც ყოველ წელს წყალდიდობა
მიყენებს ხოლმე მათ.

გაზეთ „კავკასის“ სიტყვით,
კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ მო-
სთხოვა ამიერ-კავკასიის რკინის გზის
გამგეობას ცნობები იმისა, შესაძლე-
ბელია თუ არა დაკმაყოფილებულ
იქმნას ქ. ტფილისის მეთაურ ნაწილის
სახლის პატრონთა შუამდგომლობა
ავჭალის ქუჩის ბოლოს რკინის გზის
ლიანდაგს ზემოდან ხიდის გაკეთე-
ბის შესახებო.

გაზ. „ახ. მიმ.“-ს პეტერბურგი-
დან დეპეშით ატყობინებენ: „გამო-
ქვეყნებულ იქნა უმაღლესი ბრძანე-
ბა იმის შესახებ, რომ ის სასანიტატ-
რო ნაწილები, რომელნიც სოხუმს
აკრავს, სოხუმის ქალაქის წრეში ჩა-
ირიცხოს და ამ ნაწილების პატრონთ
მიენიჭოთ ქალაქის აღმომრჩეველთა
უფლებანი“.

გაზ. „Каспий“ იუწყება, რომ
21 სექტემბერს ბათუმში მოვა გზათა
მინისტრის ამხანაგი, გენერალ ლეი-
ტენანტი პეტროვი და იმავე დღეს
ტფილისში ჩამოვიდა.

გაზ. „ტფ. ფურ.“-ის სიტყ-
ვით შინაგან საქმეთა სამინისტროს
შეუწყნარებია ქ. ტფილისის შუამდ-
გომლობა იმის შესახებ, რომ „ქალა-
ქის უმთავრესს სამკურნალოსთან
დაარსებულ იქმნას აფთიაქი, საიდ-

განაც მხოლოდ ღარიბებს უნდა მი-
ეცეს წამლები უსასყიდლოდ.

გაზ. „Моск. Вѣд.“-ს პეტერ-
ბურგიდან დეპეშით სწერენ: „ამ
ჯამად კავკასიაში შავის ზღვის ნავი-
რას მდებარე მიწები, რომელნიც
კერძო კაცებისათვის უნდა დაერი-
გებინათ, უკვე დაარიგეს; რადგანაც
სხვადასხვა ბეგრმა ითხოვა მოგვეცით
მიწები, სამინისტროს აზრად აქვს
დაუთმოს მათ თავისუფალი მიწები
კავკასიის სხვა ადგილებში“.

ქუთაისი. 13 სექტემბერს რეა-
ლურის სასწავლებლის ფართო ეზო-
ში ქ-ნ ნახაროვის მეთაურობით და
ქუთაისის მასწავლებელ ქალების და
ვაჟების დახმარებით გაიმართა იმგვა-
რივე საყმაწვილო დღესასწაული,
როგორცამ წარსულ გაზაფხულზედ
იყო აქ. დღესასწაულს მრავალი ყმა-
წვილი დაესწრო, რომელთაც ბევრი
ისიამოვნეს. დღესწაულმა გასტანა
ნაშუადღეის სამ საათიდან შვიდ
საათამდე. გარდასახადი თითოეულ
ყმაწვილისა სამი შაური იყო, ხოლო
დიდრონისა ხუთი. ამ სამის შაურის
ანგარიში მცირე საუზმეც მიეცათ
ბავშვებს. დღესასწაული რომ გათავ-
და, შუშუნები აუშვეს.

15 სექტემბერს აქ გაიმართა დი-
დი აღლუმი, რომელშიაც მონაწი-
ლეობა მიიღო რაქადგან ჩამოსულმა
დიდ ძალმა ჯარმა. ეს ჯარი საგარა-
კოდ მთელს ზაფხულს იმყოფებოდა
რაქის მაზრაში, მშვენიერს შაორის
ხეობაში, სადაც საუცხოვო ჰაერი
და სასმელი წყალია. ერთი ნაწილი
ამ ჯარისა იცავდა ქუთაისის აღმო-
სავლეთის მთიან ნაწილს, ხოლო მე-
ორე უტევდა ამ ჯარს წყალ-წითე-
ლას გაღმიდან და გელათის მხრიდ-
გან. აღლუმს დაესწრნენ თითქმის
მთელის ქუთაისის მცხოვრებნი, რომ-
ელთა შორის უმრავლესობას ქალები
შეადგენდნენ.

ს. ტაბახაია, (ქუთაისის მა-
ზრა). სიმინდის ყანები მშვენიერი
გვაქვს, ღვინომ-კი გვისუსტა; სამი
დღეა მეტად წვიმიანი და ცივი დღე-
ები სდგას; ხალხი სწუხს, რადგან
ასეთი გრილი და წვიმიანი დღეები
ებლა ყანებს და ბამბას არ მოუხდებ-
ბა. ჩვენი მამასახლისი შეუდგა გზე-
ბის კეთებას და მგონი საზამთროდ
არ ჩავიჩრვებ ტალახში. აქაურ ორ-
კლასიან სასწავლებელში წელს აღ-
გილი იყო 22, მთხოველი-კი 90
გამოცხადდა. ბევრი ბავშვი გაბრუნ-
და თვალ-ცრემლიანი.

გაზ. „Чер. Вѣст.“-ი სწერს: „ში-
ნაგან საქმეთა მინისტრმა ნება დართო, რომ
მომავალ 1899 წლიდან გახსნილ იქმნას
ახალი საფოსტო გზა ბათუმიდან ახალცი-
ხემდე. ამ გზაზედ 9 საფოსტო სადგური
იქმნება დაარსებული: 1, ბათუმსა, 2, აჭა-
რის-წყალსა, 3, სოფ. კოდსა, 4, ხიჩაურსა,
5, სოფ. ხულასა, 6, სოფ. ნანუბ-ოდლსა
7, კანლის გადასავლსა, 8, სოფ. ხარხმის-
თან და 9, სოფ. ბენარის მახლობლად“.

**მისი მაღალ-ყოვლად უსაგლდე-
ლომობის საპატრივალოს მასა-
რისის ულაბიანის მოგზაურო-
ბა ქახეთში.**

(შემდეგი)
13 სექტემბერს მათმა ყოვლად-
უსაგლდელომობამ სწორა თელავის
ტაძარში. წირვაზედ ჰვალობდა იგი-
ვე ხორო, რომელიც წინაღამეს სა-
*) იხ. „ივერია“, № 200.

სულიერო სასწავლებლის ეკკლესია-
ში ჰვალობდა ბ. ნ. პ. სულხანიშ-
ვილის ლიტურგიით. მთავრები და
თანამწირველნი მღვდლები და დეკა-
ნოზები მშვიდობიანს და ასამაღლებ-
ლეს ზოგს ქართულად ამბობდნენ,
ამიტომ ბ-ნი სულხანიშვილიც ხან
ქართულ ხოროს ავალობდა, ხან
რუსულსა. წირვაზედ აკურთხეს ერ-
თი მთავრად და ორს, როგორც წი-
ნად მქონდა მოხსენებელი, უკურთ-
ხა სამღვდლო ენქერი(მღ. ბენაშვილს
და მენტეშაშვილს). წირვას აუ-
არებელი ხალხი დაესწრო. მათი მე-
უფება უკმაყოფილო დარჩა, რომ
ტაძართან სამრევლო სკოლა არ
არისო.

სადილი გაშლილი იყო სასწავლე-
ბლის აივანში. ოთხმოცამდის სული
დაესწრო სამღვდლოება, თავდაზ-
ნაურობა და მოხელოება. სადილზედ
პირველი სადღეგრძელო სთქვა თავ-
დაზნაურობის წინამძღოლმა თ.
მაყაშვილმა და აღდგერძელა ძვირფა-
სი სტუმარი ყოვლად-უსამღვდლოე-
სი ფლაბიანე. იგრილა მთელმა ხალ-
ხმა და ფეხზედ დგომით დალიეს მა-
თის მეუფების სადღეგრძელო. სად-
ღეგრძელოზედ ქართული მრავალ-
ემიერ იმღერეს. ამ დროს წამოდგა
ბ-ნი ილია ზურაბიშვილი და შემდე-
გი წარმოსთქვა:

„თქვენო მაღალ ყოვლად უსამღვდლოე-
სობა!“

„ნება მიბოძეთ, მოვანო აქ მყოფთ ის
შესანიშნავი სიტყვები, რომლითაც მიმპარ-
თეთ თქვენს სამწყსოს ბრწყინვალე ბზობის
დღეს სიონის ტაძარში.“

„დღეს წმ. ეკკლესია დღესასწაულობს
იესო ქრისტეს იერუსალიმში დიდებულად
შესვლას და მეც, უღირსი მსახური ქრისტე-
სი, დღევანდელს დღეს, ვიწყობ რა მსახუ-
რებას წმ. საქართველოს ეკკლესიისას, აღ-
სავე ვარ რუღუნითა და ზრუნით თქვენდა
საცხიანებლად, რომ მოგენიჭოთ საუკუნო
ნეტარება. გარდმოავლინოს ღმერთმა კურთ-
ხევა თვისი საქმესაზედა, რომელსა შემდგარ
ვარ და განახორციელოს უფალმან თქვენსა
სულიერ გაწესრიგებაზედ კეთილნი განზრ-
ხვანი გულსა ჩემისანი“.

„სული მითრთოდა, როცა პირველად და-
ვადგი ფეხი ამ, აწ უკვე ჩემგან სამშობლოდ
მიჩნულს, მიწას“.

„ეს სიტყვები ღრმად შთაგებდნენ მგრძნო-
ბიარე გულს იმ ერისას, ვისი მიწაც, რო-
გორც თქვენა ჰბრძანეთ, მორწყულია წამე-
ბულთა სისხლით და რომელსაც მარადის
მალა ეჭირა სარწმუნოების დროშა და ამ
სახით მე-XIX საუკუნის დასასრულს მიღწეუ-
ლმა, გადასცა იგი ერთმორწმუნე ერს.“

„იმითი არის შესანიშნავი ეს სიტყვები,
რომ შინაარსად აქვთ კეთილშობილური
ჩვენდამო თანაგრძობა და გულწრფელად
საყვარელი დამოკიდებულება, რომლიდანაც
ვიტყვი თქვენისავე სიტყვებით: „განდევნი-
ლია ყოველივე უფარვისი, ავი და ბორო-
ტი“!

„ერის გული მისანი! იმას აქვს უნარი
შენიშნოს ყოველივე სულის მოძრაობა და
განზრახვანი და, იმ, მან გამოიკნო, ვინ მო-
დის მასთან და რისთვის მოდის!“

„ცხოვრების შეაზნელს ქარგაზედ ცისარ-
ტყელავით ახლად გვეხატება სახიერება
ივერიის ეკკლესიის უწინდებური მღვდელ-
მთავრისა, რომლის თვალმში ჰბრწყინავს
სიყვარული მოყვანისა; ვგრძობთ, რომ მა-
რჯეგნა, რომლითაც გვსახავს ჯვარსა, მზად
იქმნება, ყოველთვის გაჭირების დროს ხალხს
წარუძღვეს საუკუნო ნეტარებისა; ბაგენი
განიპობებიან მისთვის, რომ აღავლინონ მა-
ცხოვრისა მიმართ მზურვალე ლოცვა კურ-
თხებად მრავალ-ტანჯულისა ერისა.“

„გავიხსენებ რა ამ სასიამოვნო მოვლენას,
უნებურად მაგონდება იგავი მოწყალე სამა-
რიტელისა. გამოჩნდა ადამიანურის მო-
ვალეობის შესრულებით განსტეველური კა-
კი, რომელსაც დეოთურის გრძობით ამა-
ღლებულს ყველასათვის ერთნაირად ემეტე-
ბა ბედნიერება და თითოეულს აკუთვნებს
ბედნიერების უფლებას.“

ამ მამობრივმა მზრუნველობამ ქვემოთ
ტანჯვა-წვალება საზრუნავისა და თვით-
რცა ფენიხი ფრფლისაგან, განაზღვრა ცხო-
ვრებისათვის და აღიესო უღრმესისა და უგუ-
ლითადესის მადლობითა მსხენლისა მიმართ.
ლიან, თქვენო მაღალ ყოვლად უსამღვდე-
ლოებსავე, ჩვენთვის თქვენ მოწყალე სა-
მარტული ჰბრძანდებით და ქართველი ერი
აღტაცებით ვთვლით თვის მოყვასად.

განიხარებს ქართველობა, რომ ცხოველ-
მყოფელ სარწმუნოებას დიდისა მოწამისა
ქეთევანისას, დავით აღმაშენებლისას და
დიდისა თამარისას, დაფუძნებულს „დღეიდ-
გან თქვენს სამშობლო მიწაზედ“ მოციქულ-
თა სწორის ნინოსაგან, გამოწვრთნილს და
ნასაზრდოებს ივერიის შვილთა სისხლითა
და ვებით, დღეს უდგას სათავეში ისეთი
ყოვლად ღირსი, როგორც თქვენა ჰბრძან-
დებით, თქვენო მეუფებო!“

სადილობამდის ყოვლად სამღვდე-
ლო კირიონი, ეპისკოპოსი ალავერ-
დისა, წაბრძანდა ალავერდს.

სადილს შემდეგ მაღალ ყოვლად
უსამღვდელოესი ფლაბიანე თავისის
ამალით წაბრძანდა ალავერდისაკენ,
თან გზად დაათვალიერა ეკკლესიები
და სასოფლო სკოლები.

ნადიკრელი

სიღნაღის საბჭოს კრება

1 სექტემბერი

კრებას დაესწრო 10 ხმოსანი, ქა-
ლაქის მამასახლისი და მისი თანაშე-
მწე.

ქაღაჭის მამასახლისი ს. პ. ტერ-
აქაძე. მამულების დასაფასებელი
გარდასახადი 16,000 მანეთამდეა მე-
მამულებების მიერ შემოაუტანელი. ეს
ფული არ შემოაქვთ და ვერც პო-
ლიციას აუღია. ყოველ დღე თხოვ-
ნა თხოვნაზედ შემოდის გამგეობაში
ამ საგნის შესახებ; ზოგი ჩივის
ქვირ-ოხერი ვარ და ვერ შემოვი-
ტან დაფასების ფულს, ისეც ძლივ
ვაი-ვაგლანითა ვცხოვრობ და უნდა
მაპატიოთო; ზოგი ამბობს—ჩემი
სახლ-კარი ნიაღვრებმა წაიღო და ამა-
რაში-ლა მოგკეთ ფულიო; ზოგი იმას
ამბობს—ჩემი სახლები რამდენი ხა-
ნია დაიქცა და საიდგან მოვიტანო
ფულიო და სხ. ამის გამო პოლიცი-
ასაც ვაწუხებთ; და როგორ არ უნდა
შეგაწუხოთ, როცა ზოგიერთებზედ
დაფასების ფული 80 მანეთამდეა და-
რჩენილი. მაგრამ პოლიციასაც ვერა
გაუწყვია-რა და მემამულეებს ვალი
თანდათან ემატებათ, რის გამოც ქა-
ლაქი ვალში ვარდება. ამისათვის მე
გთხოვთ, იღონოთ რამე: ვინც მარ-
თლა გაჭირვებულია და ღირსია,
რომ ევატიოს, ამ ვალისაგან განა-
თავისუფლეთ.

ხმ. ა. ს. შავერდია. ავიჩიოთ
კომისია და დავავალოთ, რაც შეიძ-
ლება მალე დაიაროს ქალაქი და ვინც
სჩივის, არ შეგვიძლიანო, ვასინჯოს
იმითი მამულები, მართლა ზარალი
მოსვლიათ თუ არა და შეგვატყობი-
ნოს დაწერილებით მათი გარემოება,
რომ ჩვენც იმისდა კვალობაზედ მო-
ვიქცეთო.

ხმ. ს. ა. თათაროვი. მერე ჩვენ იმა-
თი მუშები გავხდეთ და კარის-კარს
ვიაროთ? ის არა სჯობია, თითონვე
დაამტკიცონ თავიანთი სიმართლე,
მართლა წყალობა მოსტაცა, ანუ და-
ექცა სახლი, თუ არა?

ხმ. მ. შატავა. აქ ბძანეს,—სახ-
ლი დაიქცაო. თუ სახლი დაიქცა,
მიწა ხომ იქვე არის? დასაფასებელი
გარდასახადი მიწას ერთმევა. თუ პი-
რველი პატრონი არა ჰყავს მამულს,
ის ხომ არის, ვისაც მამული დარჩა.
იმას გარდავახდევინოთ ბავი. აქ რა
კომისია გვინდა.

სმ. ა. ს. შავერდია. როგორ თუ არ გვინდა? მაშ რას ვაკეთებთ, რისთვის ვართ, თუ კი ქალაქს არ მოვუვლით და არ გავიგებთ იმისს ქირვარაშსა და მწუხარებას? აი, ერთი მგ ვარ და ვითხოვე, — დასაფასებელ გარდასახადისაგან განმათავისუფლოთ, რადგან არ შემოდინა მეთქი. თქვენც უნდა დაიჯეროთ გამოურკვეველად ჩემი შეუძლებლობა? კომისია კი ამას ნამდვილად გამოიძიებს ჩემის მხრივ მე ვასახებლებ კომისიის წევრად მ. პაატოვს.

სმ. მ. პაატოვი. მე ფეხსაც არსად გადავდგამ და კომისიის წინააღმდეგაც ვარ.

ს. ა. ს. შავერდია. სჯობს კენჭი ვუყაროთ ამ საგანს: იქნას კომისია არჩეული თუ არა?

ქალაქის მამასახლისი ს. ა. ტურაპაძე. რას იტყვი ამის შესახებ?

სმ. ს. ალუფოვა. კომისიისთვის ფული სადა გვაქვს, ისეც ვალითა ვართ დატვირთული.

სმ. ა. ს. შავერდია. არ უნდა კომისიის ფული; ისეც მოვალე ბრძანდებით, რომ ქალაქს შემოიპრობოთ.

სმ. ნოდ. ნადირაშვილი. ჰო-და, თუ ფული არ არის საჭირო, კომისია სჯობია.

მ. პაატოვი, ნ. რაგვიძე, და ს. თათაროვი. არ გვინდა კომისია, არ გვინდა!

მცირე კამათის შემდეგ დაუდგეს კენჭის ყუთები ა. შვერდია, ნოდარ ნოდარაშვილს და მეტოქე ბაშინჯალაძეს. თითოთს ამოუვიდა 8 კენ. თეთრი და 3 შავი.

ქალაქის მამასახლისი. როგორც ქართველი მღვდლები, ისე სომხებიც სწივიან, — ჩვენი სახლ კარი უნდა განთავისუფლებულ იყოს ყოველის ხარჯისაგან, რადგან სასულიერო წოდებისანი ვართო.

სმ. შავერდია. გავსინჯოთ კანონი და თუ მართლა იგი იმათ ანთავისუფლებს, რაღა გვეთქმის?

ალმოჩნდა, რომ ახალი კანონი არ ანთავისუფლებს სასულიერო წოდების სახლ-კარს ქალაქის დასაფასებელ გარდასახადისაგან. ამიტომ კრებამ უარ-ჰყო მათი საჩივარი და დაადგინა, — გამოერთოს დასაფასებელი გარდასახადი სასულიერო წოდების იმ წარმომადგენელთა, რომელთაც დღემდე არ შემოუტანიათ ეს ფული.

ქალაქის მამასახლისი. ქვემოთ მოედანზედ სამი ფარული გვაქვს, რომელიც ქირით ექირათ. ესლა ვადა შეუსრულდათ მოიჯარადრეთ; მაგრამ დღეს აღარაინ იძლევა იმ ფასს, რა ფასაც აქამდე გვაქონდა ვაცემულნი. ამის შესახებ რას იტყვი?

თათაროვი. დანიშნეთ ვაჭრობა და ვინც მეტი მოგვეცეს, იმას მივცეთ იჯარით.

მამასახლისი. ვაჭრობა ოთხჯერაც დავნიშნე, მაგრამ არაინ იძლევა რიგინს ქირას. ზოგი 80 მან. და ზოგიც ცოტა მეტს იძლევა; ზოგი კიდევ ექვსი თვითა თხოულობს.

ს. ს. შავერდია. რასაც მოგცემენ ისევ წლითა სჯობია ვაცემო, ექვს თვით მივცეთ და ექვს კიდევ ვაუქირავებელი იყოს? ისევ წლით მიეცით როგორმე.

ეს წინადადება საბჭომ ერთ ხმად შეიწყინა.

მამასახლისი. კარგი, ვეცდები, ეგებ მეტი გამოვართვა ვისმის და თუ არ მოხერხდა, როგორც იქნება, ისე მივცემ.

ნინოს შესახებ რას იტყვი? საკლავი იაფია. ჩვენ ვიყიდეთ, დავკალით და ცდამ დავგანახა, რომ ხორცი 3—4 კაბ. ზევით არა ჯდება გირვანქა; ფქვილიც თან და თან იაფდება; გულში 90 კაბ. ვაიყიდა ფული. ამიტომ, ჩემის აზრით, გირვანქა ძროხის ხორცს დავადეთ ფასი 5 კაბიკი; ცხვრისას პირველი ხარისხისას — 6 კაბ.; მეორე ხარისხისას — 5 კაბ.; თხისას პირველი ხარისხისას — 5 კ. მეორე ხარისხისას — 4 კაბ., სუსს 7 კაბ.; პურს პირ. ხარ. 2 1/2 კაბ., მე-2 ხარ. — 2 კაბ.

ს. ს. შავერდია. ძალიან კარგი ფასებია, მეტადრე ამ თვეში.

ს. ა. თათაროვი. ხორცისა კარგია, მაგრამ პურს არაინ გამოგვიცხოვს. ძრიელ ცოტაა ეგ ფასები.

ს. ს. შავერდია. რად არის ცოტა? ჯერ ხალხი არ შემობრუნებულა საქმიდგენ და აგერ დღეს 90 კაბ. ფქვილი, ამა ერთი მოიცალოს ხალხმა, მაშინ უფრო გაიფიქრებ პური.

თათაროვი. ა-ა, ძლიერ ცოტაა! შავერდია, ნ. ნადირაშვილი, მ. პაატოვი, ს. ალუფოვა, მ. ბაშინჯალაძე, ა. თ. ამინაშვილი და ა. ი. უფრადუშოვი. კარგია, კარგია, ცოტა არ არის.

(დასასრული იქნება)

უცნობეთი

საზრუნველთა. საფრანგეთის ზოგაერთნი მოღვაწენი ბრალსა სდებენ რუსულებიკის პრეზიდენტს, რომ ეითამც იგი გენერლების ცნობიდანისა და პუბლიკის ზეგაქმნის ქვე იმეფობადეს და დიდად ხელის შემშლელი იყოს დრეიფუსის საქმის სელექტად განსაინჯვის დროს ჭკუმიანობის განმარტაგებისა. ცნობილ მოღვაწეებს, რადიკალ კლემანსოს და სოციალისტურ რესპას სიტყვებით, ფორმა ძალა დატანა სამინისტროს, რომ ცნობიდანისა ისეუ პრეზიდენტს გუბერნატორად დაენიშნათ. თუ ჩემს წინადადებას არ შესასრულებთ, სამსახურს თავს დაკანკებთ, დამუშრება პრეზიდენტი უფროსს მინისტრს ბრძანდეს. სამინისტრო ძლიერ შესცდა და დიდი სისუსტე გამოიჩინა, რომ ფელიქს ფორის მუქარას შეუშინდა და ცნობიდანისა პრეზიდენტს სამსახურად დაინიშნა, ამბობენ სსენებელი პუბლიცისტები. ასეთის საქციელთ სამინისტრომ სელ-ფიქს შეუკრა მართლმსაჯულებას, რომ სამართლე გამოაკაზმებინა, რადგან ცნობიდანის, როგორც სამსახურად გუბერნატორს, საშუალება აქვს თავსუდ ხელი დაფაროს საკენერალო შტაბს, სადაც ბერია ბორტ მოქმედება იმეფობა. თუ სამინისტრო კვლავაც ასეთს სისუსტეს გამოიჩინს, ტუფული იქმნება ის სისასრული, რომელიც სამინისტროს პირველმა ნაბიჯმა გამოიწვია დრეიფუსის საქმის შესახებ. უფრადუშოვი ამას ერთი მოღვაწე, სასელადობ მიღიქმნა, ამას დასძენს, რომ ბრძანდეს ან ცნობიდანის სამსახურადგან დათხოვნა უნდა მოათხოვოს, ანუ თათონ უნდა გამოვიდეს სამინისტროდანა.


— გასუთების სიტყვით, ესტრეზა, რომელსაც ათასს ბრალსა სდებენ დრეიფუსის საქმეში, ამ დღეებში ლონდონდგან პარიკში წასულა. ერთის ინგლისურის გასუთის კორესპონდენტისათვის უთქვამს ესტრეზას, რომ მსოფლივ სამა კაცმა ვინცდათ სინამდვილე დრეიფუსის საქმის შესახებ: სასდგამა, ანამ და მე; რადგან პირველი ორი კაცი აღარ სცოდნობს, ამ უმად მსოფლივ მე ვარ ყველა საიდუმლოს მცოდნეო. გასუთებზედ ჭკუიდანა, — ვისარგებლებ მე ყველა ამ ქალაქებთ, რომლებიც ჩემს ხელთ არის, თუ არაო. ამის აზრად ჭკუნია თუშქე, მთელი წიგნი დაუბეჭდა, რომელიც მოთხრობილ იქმნებოდა უფრადუშოვი დრეიფუსის საქმისა.

ჩინეთი. ამ ბოლო ხანებში ხმა გაერტლდა, რომ ჩინეთის იმპერატორი ათას გვარ ცნობიდანთა შემოდებას აბრებს თავის სასელექციოფობი; რომ იგი პრეზიდენტს გზას დაადგა და აზრად აქვს, — კორეის ზოგაერთ წესწობიდანს ჩინეთის კარბა გაუღოსო. ბრძანება ბრძანებაზედ გამოდიდა სასელექციოდანთა შესახებ. პირველად იმეფატორმა ბრძანა, რომ ფორტის უფუბამ თავისი მოქმედება გააფართოვოს მთელს იმპერიაშიო. არ გასულა დიდი ხანი ამის შემდეგ და სასელი ბრძანება გამოვიდა, რომ ყველა ჩემს ქვეშევრდომს ნება აქვს წერ-ლეობით თხოვნით მომართოს მეო, როგორც უფლებაც მანამდე მსოფლივ დიდგვარობას ჭკუნია. ამის შემდეგ იმპერატორმა კიდევ განმარტა ბრძანება, რომ მუდამ თუ სასელექციო შემოსავალ გასავალი წარმომადგენელი მე და საყვარელთადაც გამოაქვეყნეთო. გარდა ამისა იმპერატორმა უბრძანა მსოფლივ, რომ ყველა ჩემი ბრძანება სასელექციოფობს სსკა-დასსკა ადგილას გაავრთო საჯარო ადგილას, რათა ყველამ გაავრთო ჩემი სურვილიო. ამავე ბრძანებაში ნათქვამია: ასეთს გასუთებულს მდგომარებაში ჩინეთმა თავი უნდა დაანებოს მუდამ ჩვეულებათ, სასელ წესწობიდანს ს შემოდებას უნდა ეცდოს და ამ რიგად გზა გაუწვდეს ცნობიდანს სასელსასს, რომელიც დამარტული იქმნება სწავლა მეცნიერებაზედ. თუ დასაჯელი კორეისა წესწობიდანს არ შეიკატის ჩვენში და ცნობიდანის სასელ მოთხოვნილებას გვერდს აუხვევთ, ჩინეთს გარბე მერმისა არ მოკლესო.

მაგრამ იმპერატორის ასეთს კეთილგანზრდისა ცნობიდანთა თვლით შესტყვის მკვლელს ჩვეულებას და წესწობის მოკვარულთ. უფრადუშოვი ეს ქვეყნის დამდუშვებ მიმართულებად შიინიეს და ამის გამო იმპერატორს და მის მომსრუბს დგენს დაუწყეს. საქმე იქამდე მივიდა, რომ, როგორც დეპუტა და გასუთებია მოკვარობას, იმპერატორისათვის ძალა დაუტანებიათ ტანტისთვის თავი დაქნებობა და ქვეყნის მართებადისათვის გარდაცვა; სოლო კანკე-ი-შეის, რომელიც იმპერატორის მარტეპას ხელს შეადგენდა, ქვეყნის სასელმა მმართველებმა საკვდილით დასჯა გარდაუწყვეტეს და მისი დატყინის შესახებ ბრძანება გასცეს.

კანკე-ი-შეის მაგიერ დედოფალმა ისეუ ლი-ხუნგ-ჩანი მიიწვია სამსახურში, რომელიც აწ გარდაუქნებულ იმპერატორის მიერ ამას წინადა თანამდებობადგან გადარტებულ იქმნა. ზოგა-

ერთი გასუთების აზრით, რა-გი ლი-ხუნგ-ჩანი დაიჭირა პირველი ადგილი დედოფლის წინაშე, ჩინეთი არ დაგდეს წინსვლადობის გზას, რომელიც იმპერატორმა აირჩია, რადგან ლი-ხუნგ-ჩანიც დიდი მომხრეა კორეის წესწობიდანისა.



— მოკრემთ ამ ადგილს, მაგრამ ამ თანამდებობის ასრულებას დიდად მოითმინი და ყველაფრის ამტანი კაცი უნდა.

— რასა ჭბრძანებთ, თქვენო უაღმატუფლებსა, ჩემზედ ამტანი და მომთმინი იშვიათი კაცი იქნება!

— ჰმ... ვნახათ, ვნახათ... ცოლი ბუბათ?

— შესამე, თქვენო უაღმატუფლებსა.

— აგრე მეტუფადით და! მის დამინი შენისაზრთ ამ ადგილზედ.

შურნალ-ბაზეთიმიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ინგლისის ერთს ჟურნალში დაბეჭდილია მოთხრობა ლუი-დერ-რუემონის შესახებ, რომლის თავ-გადასავალი ძლიერ წააგავს რომინზონ კრუზოს თავ-გადასავალს.

ჩვენს გახეთში უკვე იყო ნათქვამი, როგორ გაატარა რუემონმა ორ-წლიწოდ-ნახევარი უდაბნო კუნძულზე. ბოლოს დანიხა, რომ ერთს ნაწი იყვნენ რამდენიმე კაცი. თურმე რამდენიმე ველური კაცი სათევზაოდ წასულიყვნენ, დაუძღვრებულან სიმშლითა და წყურვილით. რუემონმა ძლიერ გადარჩინა ესენი სიკვილს და როგორც იყო გადმოიყვანა ნაპირას.

რომ მოსულიყვნენ, ასე იგონათ, უკვე მკვდრები ვართ და უზენაესის მოსამართლის წინაშე წარვსდგებით. ბოლოს თან და თან მიეჩვივნენ რუემონს და დიდის პატივისცემით ექცეოდნენ. დიდი დრო და ხანი არ გასულა, რომ რუემონი შეუყვარდა ამ ველურს ქალს, სახელად იამბას, ქალმა ასწავლა თავისი ენა და რუემონმაც ცოტა ინგლისური ლაპარაკი. კიდევ ცოტა ხნის შემდეგ რუემონმა და იამბამ ქმარმა გააკეთეს ნავი, ჩასდნენ და გასწიეს ავსტრალიისკენ მივიდნენ თუ არა ველურებთან, იმათ დაანთეს ცეცხლი, მეტე რუემონს მიუყვანეს 15 წლის ქალი, ხელში დიდი ჩაქური მისცეს და ანიშნეს, თავში უნდა დაჰკროთ, რუემონს ეგონა, ეს ქალი უნდა მომავლდებოდა, დიდს უარზე დადგა და სცლილობდა ჩაფონებინა ამ ხალხისთვის, მე კაცის-მგამელი არა ვარ და ქვეშაობი დმერთი არავითარს მსხვერპლს არ მიითხოვს. ვინ იცის რამდენს ილაპარაკებდნენ ამაზე, მაგრამ იამბომ ჩააგონა რუემონს, რომ ამ ქალის მიკვლას არაინა გთხოვს, მხოლოდ ოდნავ ჩაქურთ უნდა შეგხო თავს იმის ნიშნად, რომ საშუალოდ შენი მონა იყოს და შენ გვეტუნოდესო. რუემონი დასთანხმა, მაგრამ მეორე დღესვე თავისი ახალგაზდა ცოლი გაუცვალა იამბას ქმარს იმის ცოლზე, რომელიც უფრო უყვარდა. ამ გარემოებით თვით იამბას ქმარიც კაცყოფილი დარჩა, ეს ქალი კიდევ დაეხმარა რუემონს, კიდევ გააკეთეს ნავი და ავსტრალიადგან წასვლა დააპირეს. ჯერჯერობით რუემონის ამბავი ამაზე თავდება.

დებემა

(რუსეთის დებემათა სააგენტოსაგან)

16 სექტემბერი.

კოპინაბანი. დედოფალი მშვიდად მიიცვალა. ამ დროს იქ დაესწრნენ მეფე, ხელმწიფე იმპერატორი მარიამ თეოდორეს ასული, სა-

ბერძენეთის მეფე და დედოფალი, პრინცესა ჯელისია, კუმბერლანდის ჰერცოგი და ჰერცოგინა, დანიის ტახტის მემკვიდრე მეუღლითურთ, პრინცი ვალდემარი მეუღლითურთ, საბერძენეთის ტახტის მემკვიდრე მეუღლითურთ, დანიის პრინცი კარლოსი მეუღლითურთ და მრავალი ნორჩნი წევრნი ოჯახობისა. მეფემ ბრძანება გასცა აკადლოლ იქმნას ყოველგვარი საზოგადო გასართობი 4 ოქტომბრამდე და აგრედვე განსვენებულის გვაის დაკრძალვისა და წინა დღეს. ყოველ დღე ორის საათის განმავლობაში ზარის რეკვა უნდა იყოს დაკრძალვის დღემდე.

ლონდონი. „Times“ ს დებეშით სწერენ პეკინიდან, რომ ესლა კვლავ დანიშნულ იქნა უზუნ-ლი-იამენის წევრად ხსუ-იუნგი, რომელმაც 1895 წელს ხელშეკრულობა დასდო ჯერარდთან და შემდეგ, ინგლისის თხოვნით, განდევნილ იქმნა უზუნ-ლი-იამენიდან მიცემულ სიტყვის გატეხვისა გამო.

ბუდა-პეშტი. ორშოვში დაპატიმრებულ იქმნა კაცი, რომლის წინააღმდეგ მრავალი საბუთია იმისი, რომ რუმინის მეფის მოკვლის განზრახვა ჰქონია. ამ კაცს უზოგენს ყალბი ბასპორტი მილოშ დემსტროვიჩის სახელობაზედ, საწამლაით საეცე შუშა, ხანჯალი და სხვა იარაღი.

პარიზი. „Jigaro“ ამბობს, რომ თუ საქასაციო სასამართლოში საქმის მომხსენებელი დამატების გამოძიებას მოითხოვს, იმ შემთხვევაში საქმე საეცებით იქმნება განახლებული და განაჩენს ჩქარა ვერ დაადგენენ. სასჯულო საქმეთა სამინისტროს იმედი არ აქვს, რომ საქმე იანვარზედ აღრე დაბოლოვდეს. მთავარ-ბრალმდებელმა განაცხადა რომ საქმე საქასაციო სასამართლოს ოქტომბრის თვის დამლევებზედ აღრე ვერ გადმოეცემა.

ლონდონი. „Times“ საუწყებენ გოფკონგიდგან: „კან-იუმეას სახლობა მაკაოში გაიქცა. თუმცა კვან-რუში დიდძალი ხალხი დასაჯეს, ამბობება მინც ძლიერდება.

პარიზი. რათა საუკუნოდ სახსოვარ ყოფილ იქმნას რუსეთის იმპერატორისა და იმპერატრიცის პარიკში უყოფნა, საფრანგეთის მთავრობამ მხატვარს როლს შეუკვება დიდის სურათის დახატვა, რომელზედაც აღნიშნული უნდა იყოს აღეკანდრე მესამის სახელობაზედ აგებულ ხიდის საძირკვლის ჩაყრა. ორის წლის მუშაობის შემდეგ მხატვარმა უკვე დაამთავრა თავისი შესანიშნავი შრომა. ამ სურათს ვერსალის მუზეუმი მოათავსებენ.

განსვალბანი

ტვილისის ქალაქის გაგებობა აცხადებს საყოველთაოდ, რომ 28 სექტემბერს ამა წლისა ქალაქის გამგეობისავე დარბაზში, 1 საათსე მოსდება საჯარო ვაჭრობა ქალაქის სამკურნალოს აუთიუქის იჯარით გასაყმად. ეს აუთიუქი გოლოვიჩის ჰროსმექტზეა, თანამშროვის სახლში, ესლბ იჯარითა აქვს ჰროვიხორს გამოცვის. პირთბების შეტეობა შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმებს გარდა. (5-6-4)